საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაგორიო (Lagorio) ფელიქს

ლაგორიო ფელიქს (1781–1857), ნეაპოლის სამეფოს კონსული ფეოდოსიაში. თავის ძმებთან ერთად განაგებდა 1811 დაარსებულ სამეგრელოს, ანუ ფასისის სავაჭრო კომპანიას. 1808 წ. 12 ივნისს ლ-მ ფეოდოსიიდან საქართველოში გაგზავნა სავაჭრო ექსპედიცია, რ-საც მისი ძმა ხელმძღვანელობდა. ექსპედიცია ანაკლიაში ჩავიდა, ხოლო შემდეგ რედუტ-კალეს (ნავსადგური დას. საქართველოში), ჭალადიდისა და მარნის გავლით ქუთაისამდე მიაღწია (თბილისში ჩასვლა ვერ მოახერხეს).

ლ-მ გამოაქვეყნა ექსპედიციის დღიურების ფრაგმენტები (თავად იყო თუ არა საქართველოში, დანამდვილებით არ არის ცნობილი), რ-ებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სამეგრელოსა და იმერეთის ეკონ., სოც. და კულტ. ისტორიისათვის. მოცემულია მასალა საზ. ურთიერთობის დასახასიათებლად სამეგრელოსა და იმერეთში, არის ცნობები სოლომონ II-ისა და სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე დადიანის შესახებ, ხაზგასმულია ფოთის ხელსაყრელი მდებარეობა.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники по Кавказу, 1800– 1830, Тб., 1946.

ე. მამისთვალიშვილი